საქართველოს მთავრობის

დადგენილება №85

2011 წლის 16 თებერვალი

ქ. თბილისი

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ

მუხლი 1. საქართველოში სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედებისა და საგრანტო დაფინანსების გზით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 5^1 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს:

1. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულება (დანართი №1).
2. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები (დანართი №2).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

დანართი №1

დებულება

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება აწესრიგებს კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემისა და საგრანტო პროექტების (შემდგომში – პროექტი) განხორციელების მონიტორინგის წესს.

2. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (შემდგომში – გრანტი) მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომ განვითარებას;

ბ) საერთაშორისო პარტნიორებსა და არასამეცნიერო სექტორთან (კერძო სექტორი – მცირე და საშუალო ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო დაწესებულებები) თანამშრომლობით მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, მათემატიკის, მედიცინისა და ჯანმრთელობის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებების მიმართულებით საქართველოს ინსტიტუციების გრძელვადიანი, ინოვაციური და ტექნოლოგიური გამოყენებითი კვლევითი პროექტების განხორციელებას;

გ) სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ ტექნოლოგიის ტრანსფერისა და ინოვაციების უზრუნველყოფას;

დ) ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) გზით გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შერჩევასა და დაფინანსებას;

ე) კომერციალიზაციის პერსპექტივის მქონე ინოვაციური და ტექნოლოგიური ტრანსფერის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებას;

ვ) ინოვაციური კვლევების გამოვლენას, რომელთა შედეგად მიღებულ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე არსებობს მოთხოვნა და რომელიც პასუხობს ახალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას.

3. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში საგრანტო პროექტები შესაძლებელია წარდგენილ იქნეს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში:

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები;

გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;

დ) აგრარული მეცნიერებები;

ე) ჰუმანიტარული მეცნიერებები (მხოლოდ ინტერდისციპლინური პროექტების შემთხვევაში);

ვ) სოციალური მეცნიერებები (მხოლოდ ინტერდისციპლინური პროექტების შემთხვევაში).

4. ამ კონკურსის მიზნებისათვის ინტერდისციპლინურ პროექტად ჩაითვლება პროექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ მიმართულებებიდან ერთ-ერთს და

„ე“ და „ვ“ მიმართულებებიდან რომელიმეს, აგრეთვე „ა“, „ბ“ „გ“ და „დ“ მიმართულებების ნებისმიერ კომბინაციას.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს ამ დადგენილების მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **გამოყენებითი კვლევა** – კომერციალიზაციის პერსპექტივის მქონე ინოვაციური და ტექნოლოგიური ტრანსფერის განვითარებაზე ორიენტირებული კვლევა განხორციელებული სამეცნიერო, არასამეცნიერო სექტორიდან (მცირე და საშუალო ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო დაწესებულებები) საქართველოში და/ან საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირ(ებ)თან მჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრირებით, პროექტის განხორციელების შედეგად პროტოტიპის, ნიმუშის, პროგრამული უზრუნველყოფის (software) ან ტექნოლოგიის შექმნით, ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობის უზრუნველყოფით;

ა[1]) **ახალგაზრდა მკვლევარი** – მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ძირითადი პერსონალიდან, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა, ასევე მაგისტრატურის, რეზიდენტურის, დოქტორანტურის სტუდენტი;

ბ) **გენერალური დირექტორი** - ფონდის გენერალური დირექტორი, რომლის ფუნქციებში შედის დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება და საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებელ ექსპერტთა/კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

გ) **გრანტის მიმღები** – კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული, დასაფინანსებლად დამტკიცებული პროექტის წამყვანი ორგანიზაცია, თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი და ძირითადი პერსონალი;

დ) **დამოუკიდებელი ექსპერტი** – პირი, რომელიც აფასებს კონკურსის ფარგლებში წარდგენილ პროექტს;

ე) **დამხმარე პერსონალი** – ძირითადი პერსონალის გარდა, პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში;

ვ) **ზედნადები ხარჯები** – პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევი არაპირდაპირი ხარჯები, რომელიც შეადგენს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების არაუმეტეს 7%-ს;

ზ) **თანადამფინანსებელი** – იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ფონდთან ერთად აფინანსებს/აფინანსებენ კვლევას;

თ) **თანამონაწილე ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს;

ი) **კომისია** – კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტის კონცეფციისა და მე-3 ეტაპზე პროექტის პრეზენტაციის შეფასებისა და გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიები;

ი[1]) **კონსორციუმი** – კონკურსში მონაწილე იურიდიული პირებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც შედგება წამყვანი ორგანიზაციისაგან, თანამონაწილე ორგანიზაცი(ებ)ისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირისაგან;

კ) **მიზნობრივი ანგარიში** – საგრანტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ პროექტისთვის გახსნილი საბანკო/სახაზინო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;

ლ) **პროექტი** – პროექტის ხელმძღვანელის მიერ დაფინანსების მოპოვების მიზნით, ამ დებულებითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

მ) **პროექტის ბიუჯეტი** – პროექტის განხორციელებისათვის საჭირო საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობა ხარჯვის კატეგორიების მიხედვით;

მ[1]) **პროექტის თანახელმძღვანელი** – პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელიც არის კონსორციუმის წევრი თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ნ) **პროექტის კოორდინატორი** – ფიზიკური პირი პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საქმეებზე;

ო) **პროექტის შეფასების კრიტერიუმები** – ფონდში წარდგენილი პროექტების შესაფასებლად ექსპერტებისა და კომისიის წევრებისათვის განსაზღვრული, ამ დებულებით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო ქულების მითითებით;

პ) **პროექტის ხელმძღვანელი** – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

ჟ) **საანგარიშო პერიოდი** – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც გრანტის მიმღები ახორციელებს საგრანტო სახსრების ხარჯვას და დასრულების შემდგომ წარუდგენს ფონდს ანგარიშს;

რ) **საბოლოო ანგარიში** – საბოლოო ანგარიში მოიცავს პროექტის დასრულების შემდგომ გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან ფონდში წარდგენილ საბოლოო პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს;

ს) **საგრანტო ხელშეკრულება** – გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

ტ) **საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი** – საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის შუალედური და საბოლოო პროგრამული და ფინანსური მონიტორინგის პროცედურა;

უ) **საკონკურსო დოკუმენტაცია** – ამ დებულებითა და გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტების ერთობლიობა, რომელთა წარდგენა აუცილებელია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;

ფ) **ტრანში** – პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული, კონკრეტული პერიოდისთვის გადასარიცხი/გადარიცხული სახსრები;

ქ) **ფონდი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

ღ) **შუალედური ანგარიში** – საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან ფონდში წარდგენილი პროგრამული და ფინანსური ანგარიში;

ყ) **ძირითადი პერსონალი** – გრანტის მიმღები ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ასრულებს/ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს მაგისტრანტი, დოქტორანტი, ბაკალავრის, მაგისტრის დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, აგრეთვე ახალგაზრდა მკვლევარი;

შ) **წამყვანი ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის დადგენილება №131 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 3. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. გრანტის გაცემას ახორციელებს ფონდი.
2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშების ფორმების დამტკიცებას;

გ) დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

დ) დამოუკიდებელი ექსპერტებისა და კომისიისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით, დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენას, დამტკიცებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას;

ე) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის დადგენილება №131 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.

მუხლი 4. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა) წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის სახით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელთა წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

ბ) ძირითადი პერსონალის სახით – მაგისტრანტს, დოქტორანტს, ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

2. ერთსა და იმავე პირს ერთსა და იმავე დროს ძირითადი პერსონალის სტატუსით არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფონდის მიერ გამოცხადებულ გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ან/და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსებში გამარჯვე ბულ, ჯამში 2-ზე მეტ პროექტში.

2^1. ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე დროს არ უნდა ხელმძღვანელობდეს გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსებში გამარჯვებულ ერთზე მეტ პროექტს.

2^2. დაუშვებელია გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში ისეთი საპროექტო განაცხადების შეტანა, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვა ამ მუხლის მე-2 და 2^1 პუნქტებთან.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის დადგენილება №131 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 5. ძირითადი მოთხოვნები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულოა პროექტის განხორციელების შედეგად პროტოტიპის, ნიმუშის, პროგრამული უზრუნველყოფის (software) ან ტექნოლოგიის შექმნა. აგრეთვე მნიშვნელოვანია კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტების გამოვლენა და კვლევის შედეგად სამრეწველო ნიმუშის/პროტოტიპის სახით ახალი/გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციისა და ა. შ. შექმნა და შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავება/სრულყოფა.

2. ყველა პროექტი შეფასდება იდეის პოტენციური პატენტუნარიანობის მიხედვით და მხოლოდ დადებითი პერსპექტივის მქონე პროექტები გადავა შეფასების მეორე ეტაპზე.

3. ფონდი უფლებამოსილია, კონკურსისთვის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს რამდენიმე პრიორიტეტული თემატიკა.

4. პროექტის ფარგლებში სასურველია საერთაშორისო პარტნიორობა.

5. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება სამი კატეგორიის პროექტი:

ა) ტექნოლოგიის ტრანსფერის ხელშემწყობი საპილოტე კვლევითი გრანტი ცალკეული ორგანიზაციებისათვის;

ბ) ინოვაციური კვლევების განხორციელება და ტექნოლოგიური განვითარების გრანტები კონსორციუმებისათვის;

გ) კვლევითი კონცეფციის დამტკიცება: ინფრასტრუქტურის, ტრენინგისა და კლასტერების განვითარების გრანტი კონსორციუმებისათვის.

6. აუცილებელი მოთხოვნებია:

ა) ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობა პროექტში;

ბ) პროექტის მონაწილე ბიზნესის სფეროში საქმიანობის გამოცდილების მქონე პერსონალის/ორგანიზაციის მიერ უნდა განხორციელდეს პროექტის მონაწილე ძირითადი პერსონალის ტრენინგი სამეწარმეო/ინოვაციური აზროვნების საკითხებზე;

გ) ინოვაცია, ტექნოლოგიის ტრანსფერი და მათთან ასოციირებული კვლევის კომპონენტები.

7. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 2, 3 ან 4 წელი.

8. ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება კონსორციუმისათვის არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 420 000 ლარს.

9. კონსორციუმის წევრ ერთ ორგანიზაციაზე წლიური ბიუჯეტის მაქსიმალური ოდენობაა 140 000 ლარი.

10. პროექტს შესაძლებელია ჰყავდეს თანადამფინანსებელი, რომლის თანამონაწილეობა პროექტის დაფინანსებაში უნდა გამოიხატოს ფულადი შენატანის სახით.

11. წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯები უნდა აისახოს ხარჯვის კატეგორიაში – „ზედნადები ხარჯები“. „ზედნადები ხარჯების“ მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 7%-ს. ზედნადები ხარჯები შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და წამყვანი ან თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის. გრანტის მიმღებისთვის, გრანტის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში

შესრულებული გადარიცხვა), გრანტის გამცემისთვის ზედნადები ხარჯები სრულად აღიარდება ხარჯად, ფონდის მიერ განხორციელებული ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე დასრულებიდან 3 წლის ვადაში გრანტის მიმღებისგან მოითხოვოს ინფორმაცია ზედნადები ხარჯების მუხლიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით და შესაბამისი დოკუმენტაცია.

12. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიებში წარდგენილ პროექტებში ერთი და იგივე ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა კონსორციუმის წევრი. ერთსა და იმავე კონსორციუმს შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენა. კონკურსში მონაწილე კონსორციუმებისათვის ორგანიზაციების მინიმალური რაოდენობაა 2, მაქსიმალური 5.

13. ძირითადი პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 50%-ს.

14. პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულ მინიმუმ ერთ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს ბიზნესსაქმიანობის გამოცდილება და მჭიდრო კავშირები ბიზნესსექტორთან, რაც დადასტურდება მის პროფესიულ ბიოგრაფიაში ასახული მონაცემებით.

15. პროექტის დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით. თანხები ავანსის სახით გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ საბანკო/სახაზინო ანგარიშებზე. პირველი ტრანში ავანსის სახით გაიცემა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო ყოველი მომდევნო ტრანში – წინა ტრანშის შესაბამისი საანგარიშო პერიოდების შუალედური ანგარიშების განხილვის აქტების საფუძველზე.

16. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის, გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

17. კონსორციუმის წევრი სამეწარმეო იურიდიული პირი, ასევე უცხოური ორგანიზაცია ვერ იქნება გრანტის მიმღები.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის დადგენილება №131 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 6. პროექტის ბიუჯეტი

1. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;

გ) მივლინება;

დ) საქონელი და მომსახურება;

ე) არაფინანსური აქტივები;

ვ) ზედნადები ხარჯები.

1[1]. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ხარჯვითი კატეგორიები განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. (ამოღებულია - 05.06.2018, №318).

3. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა და ა.შ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის დადგენილება №131 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 7. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) კონკურსის პირველ ეტაპზე პროექტის კონცეფციის ფონდში წარდგენა;

გ) კომისიის მიერ ფონდში წარდგენილი პროექტის კონცეფციების შეფასება;

დ) კონკურსის მეორე ეტაპისთვის შერჩეული პროექტის კონცეფციების ავტორთა მიერ სრული პროექტების წარდგენა ფონდში;

ე) მეორე ეტაპზე გადასული პროექტების შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;

ვ) კონკურსის მე-3 ეტაპზე გადასული პროექტების პრეზენტაცია კომისიის წინაშე და გამარჯვებულების გამოვლენა;

ზ) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სიების დამტკიცება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 8. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

2. დოკუმენტაციის ფონდში წარდგენისას შესაძლებელია მიეთითოს არაუმეტეს 3 არასასურველი დამოუკიდებელი ექსპერტისა, რომელთაც შესაფასებლად წარდგენილი პროექტი არ გაეგზავნებათ.

3. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

4. ფონდში პროექტის კონცეფციის წარდგენა შეუძლიათ:

ა) წამყვან ორგანიზაციასა და ძირითად პერსონალს ერთობლივად მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ბ) კონსორციუმსა და ძირითად პერსონალს ერთობლივად მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 9. პროექტის შეფასება

1. პროექტების შეფასება ხორციელდება სამ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე პროექტის კონცეფციის შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ, რომელიც შედგება დარგობრივი ექსპერტებისაგან, „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №32 დადგენილებით შექმნილი კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ბიზნესის, სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) და ფონდის წარმომადგენლებისგან; კომისია შეფასებას ახორციელებს ამ დადგენილების დანართ №2-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;

ბ) კონკურსის მე-2 ეტაპზე გადასული პროექტის კონცეფციაზე შექმნილ პროექტებს აფასებს სულ ცოტა 2 დამოუკიდებელი ექსპერტი, ამ დადგენილების დანართ №2-ის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით. ფონდს შეფასების შედეგი წარედგინება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასების საფუძველზე ფონდი ადგენს პროექტების სამ რანჟირებულ სიას ამ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით და განსაზღვრავს მე-3 ეტაპზე გადასული პროექტების სიას;

გ) შეფასების მე-3 ეტაპზე გადასულ პროექტებს, შესაბამისი სამეცნიერო ხელმძღვანელის ან/და ძირითადი პერსონალის მიერ გაკეთებული პრეზენტაციების წარდგენის საფუძველზე, აფასებს იგივე კომისია, რომელიც მუშაობდა პირველი ეტაპის შეფასებისას და შედგება დარგობრივი ექსპერტებისაგან, „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №32 დადგენილებით შექმნილი კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ბიზნესის, სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) და ფონდის წარმომადგენლებისგან; კომისია მე-3 ეტაპზე გადასულ პროექტებს აფასებს ამ დადგენილების დანართ №2-ის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით.

2. კონკურსის მე-2 ეტაპზე დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან მიღებული შეფასებების საფუძველზე საერთო ქულის დაანგარიშების წესს ადგენს გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. კონკურსის მე-2 და მე-3 ეტაპზე მიღებული ქულების საფუძველზე საბოლოო ქულის დაანგარიშების წესს განსაზღვრავს გენერალური დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ფონდი უფლებამოსილია, გამოყოს სათადარიგო პროექტები, რომლებიც ჩაენაცვლება გამარჯვებულ პროექტებს იმ შემთხვევაში, თუ ამ გამარჯვებულებთან არ გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულებები.

5. დამოუკიდებელ ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის დადგენილება №131 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №285 – ვებგვერდი, 08.11.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია დამოუკიდებელი ექსპერტი ან კომისიის წევრი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობდეს ექსპერტი ან კომისიის წევრი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ძირითად პერსონალთან ან მონაწილეობდა მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

ბ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. კომისიის წევრი და დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულნი არიან, კომისიას და გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობონ ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია, კომისიის წევრის ან დამოუკიდებელი ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია, იმსჯელოს კომისიის წევრის/დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის დადგენილება №131 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.

მუხლი 11. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალსა და წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციები ფონდს წარუდგენენ წერილობით დადასტურებას იმის შესახებ, რომ არა აქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება.

3. პროექტის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნით ფონდსა და გრანტის მიმღებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ გამოგონებას დააპატენტებს გრანტის მიმღები, ფონდს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული მოგების პროცენტულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: 85% – გრანტის მიმღებს (35% – იურიდიულ პირს, 50% –მეცნიერთა ჯგუფს – ფიზიკურ პირებს) და 15% – ფონდს, როგორც გრანტის გამცემს. აღნიშნულთან დაკავშირებით, გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება პატენტის მიღების შემდგომ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

3^1. გრანტის მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის ნაწარმოების შექმნიდან 5 წლის განმავლობაში ფონდის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე (ტერმინი „ნაწარმოები“ აქ გულისხმობს წიგნს, ბროშურას, კომპიუტერულ პროგრამას, რუკას, გეგმას, ესკიზს, ილუსტრაციას, თარგმანს, კრებულს, ენციკლოპედიას, ანთოლოგიას, მონაცემთა ბაზას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა სახის ნაშრომებს).

4. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, არაუგვიანეს 20 დღით ადრე (გარდა პროექტის განხორციელების ბოლო საანგარიშო პერიოდისა), საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საგრანტო პროექტის განხორციელების ბოლო საანგარიშო პერიოდში ცვლილების შეტანა შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე წლის საერთო ბიუჯეტის 20%-ის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის დადგენილება №131 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 დეკემბრის დადგენილება №629 - ვებგვერდი, 17.12.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 12. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი შუალედური/საბოლოო ანგარიშების წარდგენის საფუძველზე, ახორციელებს დაფინანსებული პროექტების

მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი შუალედური/საბოლოო ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით, გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

4. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა მეტია ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებული რესურსის, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს;

დ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო კვარტლებში.

4[1]. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და შუალედური/საბოლოო ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

5. ფონდი უფლებამოსილია, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს.

6. ფონდი არ არის უფლებამოსილი, თავად შეაფასოს დასრულებული პროექტის სამეცნიერო ღირებულება და არ არის პასუხისმგებელი პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგებზე.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნა ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

8. ფონდი უფლებამოსილია, განახორციელოს მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმება აუდიტორული კომპანიის მიერ, რათა დადგინდეს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. აუდიტორული კომპანიის შემოწმების დასკვნის შესაბამისად ფონდი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების, შეწყვეტისა და დასრულების შესახებ.

9. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი – ე. წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 აპრილის დადგენილება №131 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

მუხლი 13. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად ფონდის წესდებისა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად, შეწყდება პროექტი), თუ:

ა) მოხდა შესაბამისი წამყვანი ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში გაუქმდა მისი ავტორიზაცია;

ბ) გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.

3. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

4. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში, ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, წარდგენილ ანგარიშებზე ფონდის მიერ დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები, აუდიტორული შემოწმების შემთხვევაში, მიღებულია დადებითი დასკვნა, მხარეთა შორის გაფორმებულია შედარების აქტი და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.“.

3. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული საგრანტო პროექტის შეფასების

კრიტერიუმები (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

4. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში, ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, ფონდის მიერ წარდგენილ ანგარიშებზე დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის დადგენილება №137 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №318 - ვებგვერდი, 07.06.2018წ.

საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. პირველ ეტაპზე პროექტების კონცეფციების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	თვისებრივი შეფასება (კი/არა)
მეცნიერება და ინოვაცია (მათ შორის იდეის პატენტუნარიანობა)	
ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი	

პირველ ეტაპზე დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტის კონცეფციის განხილვისას თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება თვისებრივად, იწერება კი/არა. პროექტის კონცეფციის მეორე ეტაპზე გადასვლისთვის აუცილებელია ორივე კრიტერიუმში პროექტის კონცეფციამ მიიღოს დადებითი შეფასება.

2. მეორე ეტაპზე გადასული კონცეფციების საფუძველზე შექმნილი პროექტების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები და განმარტებები	C-	C	C+	B-	B	B+	A-	A	A+	შეფასება (A/B/C)კრიტერიუმის მიხედვით
1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა**
1.1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება 1.2. კვლევის მიზნები და ამოცანები 1.3. კვლევის მეთოდოლოგია 1.4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა										
2. პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა**
2.1. პროექტის ხელმძღვანელის მიღწევების, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა კვლევით პროექტთან 2.2. ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და უნარების შესაბამისობა კვლევით თემასთან 2.3. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა										

3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა**
3.1. პროექტის შესრულების გეგმის (ამოცანებისა და აქტივობების ეტაპების, ვადებისა და გზების) განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებთან 3.2. პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 3.3. წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს/რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან 3.4. პროექტის მდგრადობა, პროექტის განხორციელების რისკების ანალიზი და რისკების აღმოფხვრის გზები 3.5. ბიზნესგეგმა										
ქულების ჯამი:										**მინიმუმ - 3 მაქსიმუმ - 27 ქულა**

შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ (ექსპერტის შემაჯამებელი შეფასება სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინჭებული ქულების შესაბამისად);

- □ A
- □ B
- □ C

შემაჯამებელი კომენტარი პროექტის შესახებ (ექსპერტის შემაჯამებელი კომენტარი სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად):

შეფასების სამი კრიტერიუმიდან (1 - სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, 2 - პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი, 3 - პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა) თითოეული ფასდება 9-ქულიანი სისტემით (1-9), სადაც 1-3 ქულა შეესაბამება C კატეგორიის შეფასებას, 4-6 ქულა შეესაბამება B კატეგორიის შეფასებას, ხოლო 7-9 ქულა შეესაბამება A კატეგორიის შეფასებას. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 27 ქულა.

კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	**შეფასება ABC კატეგორიით**	**შეფასება**	**განმარტება**
1	C-	სრულიად შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
3	C+	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები.
4	B-	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არადამაკმაყოფილებელია

6	B+	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
7	A-	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია , მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება.
8	A	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს.

შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ შესაბამისობაში უნდა იყოს 1-3 კრიტერიუმის 9-ქულიანი (1-9) სისტემით შეფასებასთან და განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	ABC კატეგორია
21-27	A
10-20	B
3-9	C

მესამე ეტაპზე გადასასვლელად მეორე ეტაპის შეფასებისას აუცილებელია პროექტმა მიიღოს 15 ან მეტი ქულა 27 ქულიდან. ამასთან, მესამე ეტაპზე ვერ გადავა ის პროექტები, რომელთაც პირველ კრიტერიუმში მიღებული აქვთ C (1-3) შეფასება.

3. მესამე ეტაპზე გადასული პროექტების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები და განმარტებები	C-	C	C+	B-	B	B+	A-	A	A+	**შეფასება (A/B/C)კრიტერიუმის მიხედვით**
1. ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა**
1.1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, მათ შორის იდეის პატენტუნარიანობა 1.2. ბიზნესგეგმა, კომერციალიზაციასთან დაკავშირებული რისკები და მათი აღმოფხვრის გზები; კლასტერის ინიციირების პერსპექტივა										
2. გამოყენებადობა და მნიშვნელობა საქართველოსათვის	1	2	3	4	5	6	7	8	9	**მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა**
2.1.პროექტის განხორციელებისას მიღებული შედეგების/პროდუქტის საჭიროება ადგილობრივ/საერთაშორისო ბაზარზე და მისი განხორციელებისას მიღებული შედეგების მნიშვნელობა საქართველოსათვის 2.2.პროექტის შედეგების გამოყენების პოტენციალი										
ქულების ჯამი:										**მინიმუმ - 2 მაქსიმუმ - 18 ქულა**

შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ (ექსპერტის შემაჯამებელი შეფასება სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად); □ A □ B □ C
შემაჯამებელი კომენტარი პროექტის შესახებ (ექსპერტის შემაჯამებელი კომენტარი სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად):

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 9-ქულიანი სისტემით (1-9), სადაც 1-3 ქულა შეესაბამება C კატეგორიის შეფასებას, 4-6 ქულა შეესაბამება B კატეგორიის შეფასებას, ხოლო 7-9 ქულა შეესაბამება A კატეგორიის შეფასებას. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 18 ქულა.

კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	შეფასება ABC კატეგორიით	შეფასება	განმარტება
1	C-	სრულიად შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
3	C+	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები.
4	B-	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არადამაკმაყოფილებელია
6	B+	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
7	A-	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება.
8	A	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს.

შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ მესამე ეტაპზე შესაბამისობაში უნდა იყოს პროექტის 9-ქულიანი (1-9) სისტემით შეფასებასთან და განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	ABC კატეგორია
13-18	A
7-12	B
2-6	C

მესამე ეტაპზე ერთ-ერთ კრიტერიუმში C (1-3) შეფასების მიღებისას პროექტი დასაფინანსებლად არ განიხილება. დაფინანსებისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა მაქსიმალური 18 ქულიდან 8 ქულის მიღება.

4. პროექტის საბოლოო ქულა დაითვლება მე-2 და მე-3 ეტაპზე მიღებული შეფასებების ჯამით.